TSETSKHLIJVROBA[1] AND SOME OPINIONS RELATED TO IT

„ცეცხლიჯვრობა“ და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოსაზრება

NINO GHAMBASHIDZE
PHD in History
ORCID: 0000-0001-9029-875X
nino_gambashidze1955@yahoo.com
+995 593 57 30 75

Abstract

Tsetskhlijvari is one of the most important shrines in Mtiuleti (mountain region of eastern Georgia). Basing on the available scanty materials, somehow we tried to reconstruct the holiday linked to the shrine and put forward some of our views on its name and essence.

After many years of research and observation based on historical, archival, and field materials collected by me, I concluded that the feast is connected with the Cross of Mtskheta. From the first century to the sixth century we would distinguish three stages in the Christianization of Georgia: first, when St. Andrew, together with other apostles, joyfully tells the Georgians the story of the redemption of mankind by God. Christian communities are emerging at this time. The second stage, when in the fourth century, as a result of St. Nino's sermons, the king of Kartli Mirian officially declared Christianity the state religion of Kartli Kingdom and institutionalized the church. The Assyrian Fathers who came to Georgia in the sixth century strengthened Dyophysitism and introduced coenobitic monasticism. The second period of the spread of Christianity in Georgia I call the "period of the cross" when similar to the erection of the main cross in Mtskheta, crosses were erected in the places of idols or the places of pagan deity worship, which was followed by the construction of churches or shrines on their sites throughout the country.

Therefore, we consider that the general name of East Georgian mountain shrines – *jvar-khati* (lit. cross-icon) should be related to the "period of the cross" and the Cross of Mtskheta, after which are named most of the main shrines in East Georgian mountains. The term *khati* (icon) should denote a local shrine, as the "icon", "replica" of the main, Mtskheta Cross. Hence we think that if *Lomisa* is the shrine dedicated to the miracle of the Cross of Mtskheta (the Wednesday after Pentecost), *Lashari* should be celebrated on the feast day of the Mtskheta Cross, initially celebrated on the third Sunday after Easter, *Tsetskhlijvari* was originally supposed to be the feast on May, 7 or erection of the crosses and, like other shrines, was later associated with St. George's Day or Epiphany and Sunday of Thomas. We think that common community shrines should have been established in the name of the Cross of Mtskheta. Those are the main shrines of the historical-ethnographic units of Kartli Kingdom and they should be related to the Cross of Mtskheta in the "period of the cross" (fourth – circa ninth centuries).

Key words: Religious festival, Ethnology, History.

[1] Literary means the feast cross of fire.

ნინო ღამბაშიძე
ისტორიის დოქტორი
ORCID: 0000-0001-9029-875X
nino_gambashidze1955@yahoo.com
+995 593 57 30 75

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია მთიულეთის ერთ-ერთ საინტერესო სალოცავს, ცეცხლისჯვარს ეხება. ისტორიულ, საარქივო და ჩვენს მიერ ველზე მოპვებულ მასალაზე დაყრდნობით შევეცადეთ სტატიაში მოგვეწოდებინა სალოცავის და მასთან დაკავშირებული დღესასწაულის გარკვეული სახის რეკონსტრუქცია და გამოგვეთქვა ზოგიერთი ჩვენეული მოსაზრება მის სახელთან, არსსა და რაობასთან დაკავშირებით.

ჩვენ, I საუკუნიდან VI საუკუნის ჩათვლით, საქართველოს გაქრისტიანების სამ ეტაპს გამოვყოფდით: პირველი, როდესაც წმიდა ანდრია, სხვა მოციქულებთან ერთად, ახარებს ქართველებს ღმერთის მიერ კაცობრიობის გამოხსნის ამბავს. ამ დროს არსდება ქრისტიანულ თემები. მეორე ეტაპი, როდესაც IVს-ში წმ. ნინოს ქადაგების შედეგად, ქართლის იმდროინდელი მეფე, მირიანი, ოფიციალურად აცხადებს ქართლის სამეფოში ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად და ინსტიტუციურად არარსებს ეკლესიას. VIს-ში ჩვენში მოსული ასურელი მამები დიოფიზიტობას განამტკიცებენ და აარსებენ კინობიტურ სამონასტრო ცხოვრებას საქართველოში. ქრისტიანობის გავრცელების მეორე პერიოდს ჩვენ `ჯვრის პერიოდი~ ვუწოდეთ, როდესაც მთავარი, მცხეთის ჯვრის აღმართვის დარად, სამეფოში კერპთა თაყვანისცემის თუ წარმართული ღვთაებების თაყვანისცემის ადგილას ჯვრები აღიმართა, რასაც შემდგომ, ამავე ადგილას ეკლესიების თუ სალოცავების მშენებლობა მოჰყვა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სალოცავების ზოგადი სახელი – ჯვარ-ხატები – ჯვრის პერიოდს და მცხეთის ჯვარს უნდა უკავშირდებოდეს, რომლის სახელობისაა აღ. საქართველოს მთიანეთის მთავარი სალოცავების უმრავლესობა. ტერმინი ხატი უნდა ნიშნავდეს ადგილობრივ სალოცავს, როგორც მთავარი ჯვრის, მცხეთის ჯვრის ხატს. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ თუ ლომისა მცხეთის ჯვრის სასწაულისადმი (სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათის) მიძღვნილი სალოცავია, ლაშარი მცხეთის ჯვრის, რომელიც თავდაპირველად ზატიკის ზატიკს ანუ აღდგომის მესამე კვირას უნდა ედღესასწაულათ, ცეცხლისჯვარი თავდაპირველად 7 მაისის ანუ ჯვრების აღმართვის დღესასწაული უნდა ყოფილიყო და სხვა სალოცავების დარად შემდგომ უნდა დაკავშირებოდა გიორგობას თუ ნათლისღებას და კვირაცხოვლობას. ვფიქრობთ საერთო სათემო სალოცავები მცხეთის ჯვრის სახელზე უნდა დაარსებულიყო. ანუ ქართლის სამეფოში შემავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების მთავარი სალოცავები ~ჯვრის პერიოდში~ (IV-დაახ. Xსს.) მცხეთის ჯვარს უნდა დაკავშირებოდნენ.

საძიებო სიტყვები: რელიგიური დღესასწაული, ეთნოლოგია, ისტორია.

სტატიის შესავალი

როგორც ცნობილია, საქართველოს გაქრისტიანების მეორე ეტაპი, რომელიც წმ. ნინოს ქადაგებას უკავშირდება (IVს.), ქვეყნის გაქრისტიანებით დასრულდა. ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ეკლესია ინსტიტუციურად ჩამოყალიბდა. საისტორიო წყარო, „მოქცევაÁ ქართლისაÁ“ გვიამბობს, რომ მცხეთის ჯვრის აღმართვის შემდეგ, ქართლის სამეფოში ყველა კერპი დაეცა. ამ ადგილებზე ჯერ ჯვრები, ხოლო შემდგომ ეკლესიები ან სალოცავები აღიმართა. ამგვარად სამეფოში ქრისტიანობასთან და ჯვართან დაკავშირებული წმინდა ადგილების მთელი სისტემა ჩამოყალიბდა, რაც ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების აშკარა და თვალსაჩინო ნიშანი იყო. ამგვარად მთელი ქართლის სამეფო „წმინდა მიწად“ იქცა. ქრისტიანობის გავრცელების ამ მეორე პერიოდს მე „ჯვრის პერიოდს“ ვუწოდებ. ჩემი კვლევის მიხედვით ცეცხლისჯვრის სალოცავის ადგილი უნდა ყოფილიყო იმ ადგილთაგან ერთ–ერთი, სადაც ჯვრები აღიმართა. ამასთანავე აქ დაარსებული სალოცავი თვდაპირველად მცხეთის ჯვრის სახელზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. შესაბამისად ცეცხლისჯვარი ამ „წმინდა სისტემაში“ შემავალი და მისი განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

მეთოდები

სტატია ინტერდისციპლინური ხასიათისაა. იგი საისტორი წყაორების, საარქივო და ჩვენს მიერ, ინტერვიურირების მეთოდზე დამყარებული, ველზე მოპოვებული მასალების შეჯერება–კვლევას ეფუძნება. ასევე კვლევისას გამოყენებული იყო კვლევის შედარებითი მეთოდი.

შედეგები

შედარებითმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ადგილობრივი სალოცავი, ცეცხლიჯვარი, თვდაპირველად მცხეთის ჯვრის სახელზე აგებული და მასთნ დაკავშირებული სალოცავი უნდა ყოფილიყო. მისი სახელწოდება მცეხითის ჯვრის სასწაულს და 7 მაისს, ამ სასწაულის კალენდარულ დღესასწაულს უნდა უკავშირდებოდეს.

მსჯელობა

წინამდებარე სტატია მთიულეთის ერთ-ერთ საინტერესო სალოცავს, ცეცხლისჯვარს ეხება. ჩვენს ხელთ არსებული, არც თუ ბევრი მასალის საფუძველზე, შევეცდებით მოგაწოდოთ სალოცავის და მასთან დაკავშირებული დღესასწაულის გარკვეული სახის რეკონსტრუქცია და გამოვთქვათ ზოგიერთი ჩვენეული მოსაზრება მის სახელთან, არსსა და რაობასთან დაკავშირებით.

სერგი მაკალათიას და ჯულიეტა რუხაძის მასალების მიხედვით ხადაში არის ორი სოფელი: ციხიანი და შარუმიანი, რომლებიც აღნიშნავენ მოცემულ დღესასწაულს. ცხავატშიც იყო ცეცხლის ჯვარი. სწორედ ის იყო ამ ისტორიულ-

ეთნოგრაფიული მხარის მთავარი სალოცავი. ვ. ბარდაველიძის მასალების მიხედვით, ხალხის თქმით, ეს სახელი ცხავატის ცეცხლისჯვარს მას შემდეგ დაერქვა, რაც ამ წმინდა ადილზე დედათწესიანი ქალი მივიდა. ზეციდან ცეცხლი ჩამოვიდა, ქალი დაფერფლა და მისგან მხოლოდ ძეწკვზე ჩამოკიდებული სამკერდე ჯვარი დატოვა. მას მერე სალოცავს ცეცხლისჯვარი ჰქვიაო – ამბობდა ხალხი (ბარდაველიძე, 1947:27).

გადმოცემით ცეცხლიჯვრის ეკლესია თამარის დროსაა აშენებული, 4.5კმ. დაშორებული ჩოხელთა ხევიდან მოტანილი ქვით. ამავე გადმოცემის მიხედვით, მთელ ამ გზაზე ხალხი ყოფილა გაბმული და საშენ ქვას ხელიდან ხელში გადასცემდა და ეკლესიაც ასე აშენებულა. წყაროს წყალი მშენებლობამდე ღარებით გამოუყვანიათ, სადაც, საარქივო მასალის მიხედვით, იმდენი ხალხი მუშაობდა, რომ დღეში საჭმლისთვის 7 ლიტრა მარილი ყოფილა საჭიროო (ბარდაველლიძე, 1947ა: 266-267; კედელაძე, 1947:2).

მიხეილ კედელაძის მასალების მიხედვით, ხსენებული ეკლესია ქვიტკირით იყო აშენებული. იგი ცხაოტის თემის შუაუბნის სოფ. ნადიბანის თავზე, მთაში, ძნელად მისასვლელ კონცხზეა აგებული და ჩრდილოეთით მდ. არაგვს გადაჰყურებს. 1947 წელს ეკლესია კედელაძეს უკვე დანგრეული დახვედრია. ეკლესიის ხის კარი მეხისგან გაჩენილი ცეცხლით ნაწილობრივ ყოფილა დამწვარი.

ცეცხლისჯვარს ხალხი ფათერაკიან და მებოლოვე ხატს ეძახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხატი დამნაშავეს დიდხანს არ სჯიდა, მაგრამ სამაგიეროს საბოლოოდ მაინც გადაუხდიდა. ის, ხალხისავე თქმით, უფრო საქონელს ერჩოდა, რომელსაც ნადირის პირით უნადგურებდა დამნაშავეს. მას, ვინც მის კარზე შენდობას ითხოვდა, საქონელს და ნაწველ – ნადღვებს უმრავლებდა (ბარდაველიძე, 1947ა: 259, 379; 2-3).

ხალხის თქმით, ცეცხლიჯვრობა და ალავერდობა ხადას ხეობაში ორივე შაბათ დღეს იმართება (რუხაძე,1946:162). სოფ. ნადიბაანის მკვიდრის, რუიზან ქავთარაძე-დარძულიძის თქმით, ისინი ცეცხლიჯვრობას ნოემბრის გიორგობას აღნიშნავენ. აი რას გვიამბობს იგი: „აქ ჩვენი ცეცხლისჯვარია. ცეცხლისჯვრობა 23 ნოემბერს მოდის...ცეცხლისჯვართან ნასოფლარია; ტაძარი ქიმზე დგას. ამ ტერიტორიაზე საძოვრები იყო. ჩაყრილი იყო თიხის მილები. ერთიდან წყალი მოდიოდა, მეორედან სოფელში რძე. ამ ნასოფლარს ზამთრეული ერქვა. თავისი გალავანი ჰქონდა.“ (ღამბაშიძე, 2016) მ. კედელაძე, 1947 წლის მასალების მიხედვით აღნიშნავს, რომ ვინაიდან ცხაოტის ცეცხლიჯვართან არ იყო სწორი ადგილი, მლოცველი სალოცავიდან 100-125 მეტრის მოშორებით იყრიდა თავს. ამ ადგილს საჯარეს უწდებდნენ. ჩრდილოეთით პატარა კლდოვან გორაკზე, ნიში, ე.წ. საბოვრაყე ანუ ხატის დასაბრძანებელი იყო, ამ გორაკის გადაღმა კი, ჩრდილოეთით, ხეებით დაფარული, გრძელი მოედანი. ხატში მისული მლოცველი ამ მოედანზე, თუ შეთქმული ჰქონდა, ოჯახის წევრებთან და მიპატიჟებულ სტუმრებთან ერთად ათევდა ღამეს. ადგილს ღამისსათევს ეძახდნენ. თუ საკლავს კლავდნენ, სტუმრებს საკლავის ხორცითაც მასპინძლობდნენ, თუ არა და სასმელითა და სანოვაგით. ცეცხლიჯვრის ეკლესიის გვერდზე ღვთისმშობლის ეკლესია იყო, სადაც ბავშვებისთვის ლოცულობდნენ. ძველად ცეცხლიჯვარში თემის უხუცესებს სცოდნიათ შეკრება და რიტუალების შესრულება. ეკლესიასთან კედელაძეს ქვევრებიც დახვდა, რომლებსაც ხალხი „სასაუზმე ქვევრებს“ უწოდებდა. ადრე ქვევრებში ღვინო ისხმებოდა, რაც მოგვიანებით არყით შეიცვალა. საჯარის დასავლეთით, 100-150 მეტრის დაშორებით, ორნაწილიანი სახლი ყოფილა. ხალხი მას სათემო სახლს უწოდებდა. ერთი კაცებისთვის იყო განკუთვნილი და მეორე ქალებისთვის. სახლის უკან, გორაკზე ქვა ყუთი სამარხები ყოფილა, რომლებსაც მოსახლეობა ბერების საფლავებს უწოდებდა. როდესაც დღესასწაული საჯარო მოედანზე, მზის ჩასვლისას

დამთავრდებოდა, მლოცველი საჯარეში შედიოდა (კედელაძე,1947:2, 5, 6). მოსახლეობას ცეცხლიჯორის შიში ჰქონდა. ხალხის თქმით იგი, ანუ ჯვარი, სალოცავი, ცეცხლიანი დადის და დამიზეზება იცის. ამ ხატში ორი დღის გათევა ყოფილა აუცილებელი და თვალის მოხუჭვა სასტიკად იკრძალებოდა. ვისაც დაეძინებოდა, ხალხის თქმით, მას ხატი დაამიზეზებდა. ცეცხლიჯორს ცეცხლით მეომარ ხატს ეძახიან.

ცხაოტის ცეცხლისჯვართან, ნახევარი კილომეტრის დაშორებით, კედელაძის მასალების მიხედვით, კეკიშვილების სამი კომლი ცხოვრობდა. მათი აქ დასახლების ისტორია ამგვარია: სამი ძმა კეკიშვილი ფშავიდან მესისხლეობას გამოქცევია და მთიულეთში სოფ. სალაჯურში დაუწყია ცხოვრება. უფროსი ძმა მონადირე ყოფილა და ცეცხლისჯვრის მიდამოებში, ტყეში ნადირობდა. იმ დროს სალოცავში ბერები ცხოვრობდნენ და თურმე, ისიც მათი ხშირი სტუმარი ყოფილა. შეუტყვიათ ბერებს მისი ამბავი და უთქვამთ: ჩვენი საქმე ცუდად მიდის და შენი ოჯახით აქ, ჩვენ ადგილას დასახლდიო. მართლაც ბერებმა უფროს კეკიშვილს და მის სახლეულს ყველაფერი გადასცეს და ერთი პირობა დაუდეს, რომ ყოველ წელს, იმ მამულიდან, რომელიც ბერებმა მას გადასცეს, ცეცხლიჯვრისთვის კულუხი და ბეგარა უნდა ეძლიათ. კულუხი იყო: ღვინო, მოგვიანებით არაყი, საკლავი (2 ჭედილა ან 2 ნაბერწალი ცხვარი), 2 ჩარექი სანთელი პატრუქითურთ, 2 ქადა. ამას გარდა, დღეობაზე მისული მლოცველის გაძღოლისთვის ხარჯს კეკიშვილები იხდიდნენ (კედელაძე, 1947ა:133-140). ანუ სალოცავში მისულ მლოცველს სურვილისამებრ თავისი შესაწირიც მიჰქონდა და კეკიშვილებიც თავის სავალდებულო კულუხსა და ბეგარასაც ახვედრებდნენ.

მაკალათიას თქმით, ხადას ცეცხლიჯვრობას დეკანოზებს შარუმიანის მთის წვერზე, სადაც სალოცავია, დროშები ააქვთ, აქ ადის მლოცველიც, სადაც დაისაჯა ქალი, რომელმაც სიწმინდე არ დაიცვა. როგორც აღვნიშნეთ, იგი ხატმა დაწვა და მხოლოდ ძეწკვზე ჩამოკიდებული სამკერდე ჯვარი დაუტოვა. მას მერე სალოცავს ცეცხლისჯვარი ჰქვიაო – ამბობდა ხალხი. მლოცველი ხატს ღამეს უთევს და ოჯახისა და საქონლის ცეცხლისგან დაცვას ევედრება (მაკალათია,1946:162). ჯ. რუხაძის მასალების მიხედვით, მლოცველს ხატში ქადა, არაყი, საკლავი, სურსათი მიჰქონდა. დეკანოზი ამწყალობნებდა შესაწირს. ხატში იშლებოდა სუფრა (რუხაძე,1946:162). ამ დღეს, ვინც სალოცავს ლოცულობდა, შუადღის შემდეგ უქმობდა. დააცხობდნენ ქადა-სამწყალობნოს. საღამოს ოჯახი დასხდებოდა სუფრასათნ. მამაკაცი აანთებდა სანთელს და ბოძზე მიაკრავდა, თან იტყოდა: „ცეცხლის ჯორო, გვიშველე კაცითა, საქონლითა.“ (რუხაძე,1946:162)

ცეცხლიჯვრის დღეობისათვის ძალიან დიდ ქადას აცხობდნენ. თითოეულ ოჯახს დეკანოზი თავად აუწონიდა 1 კილო ერბოს, რომლისგანაც ქადა უნდა გამომცხვარიყო. ქადა ხატში თავზე დადგმული მიჰქონდათ. მიჰყავდათ სათემო საკლავი, ცხვარი. ვინც დამიზეზებული იყო, მას ცალკე მიჰყავდა. მლოცავს ფულიც მიჰქონდა. ის, ვისაც აღთქმა ჰქონდა დადებული ხატისთვის, ძირითადად ქალებს, პირში რამდენიმე კენჭს ჩაიდებდა და ფეხშიშველი მივიდოდა ცეცხლისჯვრის ეკლესიაში, სადაც დაყრიდა კიდეც კენჭებს (კედელაძე,1947ბ:101-106) . ზოგის თქმით გარკვეულ ადგილზე. მ. კედელაძე აღნიშნავს, რომ ცხაოტის ცეცხლიჯვრისკენ ორი გზა ადიოდა და ქალებიც ამ გზების შესაყარზე აგდებდნენ კენჭებს (კედელაძე, 1947:1). ქალები ანთებდნენ სანთლებს, მიჰქონდათ სამწყალობნოები და ბავშვების სახელზე ჭრიდნენ, რათა ცეცხლის ჯვარს მათთვის ხანგრძლივი სიცოცხლე და კარგად ყოფნა მიენიჭებინა (კედელაძე,1947ბ:101-106; ბარდაველიძე, 1947:264). ცეცხლისჯვრის ეკლესიის გვერდით (ასე აღნიშნავდნენ სოფ. მანასეულისა და

ნადიბაანის მთხრობლები) ღვთსმშობლის ეკლესია ყოფილა, სადაც ცეცხლიჯვრობაზე მისული მლოცველი ბაცშვების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის სანთლებს ანთებდა, სამწყალობნოებს (რიტუალურ პურებს) სერავდა, გამოიყენებოდა ცეცხლიჯვრის კულუხი,[2] რომელიც სათიბი მთებიდან და მამულებიდან იყო (ბარდაველიძე, 1947:260, 263; 274, 47).

იმისათვის რომ უკეთ გავიგოთ რა სახის იყო ცეცხლიჯვრის დღესასწაული, თქვენს ყურადღებას მის შემადგენელ ოთხ მომენტზე შევაჩერებთ: თარიღი, გამორჩეული შესაწირი დიდი ქადის სახით, ცეცხლთან კავშირი, ქალებისა და ბავშვების მფარველობა. აქვე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ცხავატის და ხადას ცეხლისჯვრობა გარკვეულწილად სხვაობს ერთმანეთისგან. ხადას ცეცხლისჯვარი არ არის ამ კუთხის მთავარი სალოცავი და ამდენად, იგი ოდნავ განსხვავებულ კონტექსტს იძენს, რაც ცალკე კვლევის საგანია. როგორც ცნობილია, ხადას მთავარი სალოცავი ხადიჯვარია (თოფჩისვილი, 2017:150).

მიხეილ კედელაძის მასალების მიხედვით ცეცხლიჯვრობა ნათლისღებას, კვირაცხოვლობას და გიორგობას იმართებოდა (კედელაძე,1947ბ:101-106). დღეს იგი ხადაში აღდგომიდან სამოცდამეათე დღეს აღინიშნება.[3] ანუ აღდგომიდან მეათე კვირას, რაც არის კვირიაკე მესამე შემდგომ ერგასისა (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1976:212) და პეტრე-პავლობის მარხვის ერთ-ერთი შაბათი. ჩვენი ნადიბაანელი მთხრობლის მიხედვით, ისინი ამ დღესასწაულს გიორგობას აღნიშნავენ, ნასოფლარ ზამთრეულის ცეცხლიჯვარში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვინაიდან, ცეცხლიჯვრის თარიღის ათვლა ხადას ხეობაში აღდგომიდან იწყება, იგი ერთგვარ კავშირში უნდა იყოს აღდგომასთან. ჩვენთვის უცნაური ისაა, რომ აღდგომიდან სამოცდამეათე დღე, როგორც წესი, პეტრე-პავლობის მარხვაა. აღდგომიდან სამოცდამეათე დღე ხნილი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც აღდგომა უკიდურესად გვიან მოდის. მაგალითად, 1961-2020 წლამდე აღდგომა დაემთხვა 1 მაისს სამჯერ, 3 მაისს ერთხელ, ორჯერ 4-ს და 5-ს და ერთხელ 8 მაისს (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1976:397). აქედან აღდგომიდან სამოცდამეათე დღე ხსნილს დაემთხვევა მხოლოდ მაშინ თუ აღდგომა 4 მაისს მაინც მოვა. დასავლეთ საქართველოს მთის სალოცავებში კი, როგორც წესი, მარხვაში საკლავის დაკვლა იკრძალება.

ცეცხლიჯვრობის თარიღთან დაკავშირებით ჯულიეტა რუხაძე ერთ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის: „საყურადღებოა, რომ შვიდ მაისს საქართველოში ... არაერთი დღესასწაული იმართებოდა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მთიულეთის ცხავატის თემის საერთო სალოცავი – „ცეცხლიჯვარი“, რომელიც სოფელ ნადიბანის თავზე მდებარეობდა.“ (რუხაძე, 2001:200) როლანდ თოფჩივილი აღნიშნავს, რომ ცეცხლიჯვარი ცხავატის ისტორიული თემის საერთო სალოცავი იყო და რომ ხადა და ცხავატი დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული ერთეულები იყო (თოფჩიშვილი, 2017:150). ამ ფაქტს ჩვენი მსჯელობისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით. ასე რომ, როგორც ჩანს ცხავატის მთავარი სალოცავის, ცეცხლიჯვრის დღესასწაული 7 მაისსაც იმართებოდა, რაც შესაძლოა ამ დღეობის თავდაპირველი თარიღიც კი იყო.

როგორც ითქვა, ცეცხლიჯვრის შესაწირავი დიდი ქადა იყო. ტრადიციულ ზომაზე დიდი ქადის გამოცხობის წესი, ცეცხლისჯვრის გარდა, ჩვენთვის კიდევ ორ დღესასწაულზეა ცნობილი.

---

[2] აქ იგულისხმება გადასახადი.

[3] ცნობის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით გელა ქისტაურს.

მეორე დღესასწაულია გერგეტობა ხევში. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ გერგეტობა წელიწადში სამჯერ იყო: ე.წ. სამებობას ანუ აღდგომიდან მესამე დღეს, ფერიცვალებას და 28 აგვისტოს, მარიამობას. მარიამობა ღამეს, გერგეტელი სუჯაშვილები და ხუციშვილები აცხობდნენ დიდ ქადას-ქობობს. ქადა 10 გირვანქა[4] ერბოთი საუბნო ღუმელში ცხვებოდა. იმის გამო, რომ იგი ძალიან დიდი იყო გუთნეულის ღვედით, ყდეთი გამოჰქონდათ. მას ჭრიდნენ და ყველა ოჯახს უნაწილებდნენ. მონაჭერი ქადის გულისგან აცხობდნენ ჩვეულებრივი, ტრადიციული ზომის ქადებს, ხოლო ქერქისგან ატრიას. დიდი ქადის გამოცხობის წესს დიდქადობა ერქვა. ვალერიან ითონიშვილის თქმით, ეს წესი 1850 წლამდე სრულდებოდა. შემდგომ უკვე პატარა ქადებს აცხობდნენ (ითონიშვილი, 2015:177, 203-204). ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ სამების დეკანოზები დიდქადობას აღდგომის მესამე დღეს იხდიდნენ. 5 ლიტრი ერბოსგან ცხვებოდა დიდი ქადა, რომელიც სახლის ბანზე აჰქონდათ, ჭრიდნენ და ყველა ოჯახს ურიგებდნენ (მაკალათია,1934:229). როგორც ჩანს, დიდქადობა ჯერ სააღდგომო პერიოდთან და ღვთისმშობელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მოგვიანებით კი მთლიანად 28 აგვისტოს, მიძინებას ანუ ღვთისმშობლის სახელს დაუკავშირდა.

დიდმარხვის მეორე ხუთშაბათს, თუშეთში მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე – ერუმსალეთობა იმართებოდა. ეს დღე დიდ დღესასწაულად ითვლებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ამ დღეს თუშეთში, მზის ამოსვლამდე, ყველა ოჯახში კეცზე დიდ პურს გამოაცხობდნენ, ბიჭონს დაატყრობდნენ ანუ მარცვალს მოხალავდნენ, ლობიოს მოამზადებდნენ, სანთლებს აანთებდნენ და სუფრაზე ერთ ლიტრ არაყს დადგამდნენ. სასმელით მიცვალებულის სულებს მოიხსენიებდნენ. ამ დღის პურს ერუმსალეთობის პურს ეძახდნენ. ხალხის რწმენით, იგი რაც შეიძლება დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან იერუსალიმში უნდა გაგორებულიყო და იერუსალიმის კარი შეეღო. ერთი მხრივ, იგი „მიცვალებულებს უნდა მისვლოდა“, ხოლო მეორე მხრივ, გარდაცვლილთა სულებს სულთაკრეფისთვის თავიანთ ოჯახებში მისვლა და შეკრება უნდა შეძლებოდათ. „მკვდარნი სამზეოს გამოხედავენო“ და „მკვდარნი ერუმსალეთიდან მოდინავო“ (ბოჭორიძე,1993:307). ამ საკითხის კვლევის შედეგად, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ერუმსალეთობა-სულთაკრეფა სინკრეტული ხასიათის ხალხური დღესასწაულია, რომელშიც მიცვალებულთა კულტის საფუძველზე კვდომა-აღორძინების, ნაყოფიერება-ბარაქიანობის წინაქრისტიანული შეხედულებები და რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანულს დაუკავშირდა. დაუკავშირდა ეკლესიური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნორმას – მარხვას. მეტიც, „საფლავების შინა ცხოვრების მიმნიჭებელი“ აღდგომის მოსამზადებელ პერიოდს – დიდმარხვას და მართლმადიდებლურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებულ სულის მოსახსენებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დღეს. მასთან დაკავშირებულ თუშურ გადმოცემაში იხილვება სახარებისეული ამბავი და ქრისტიანთა უდიდესი ხილული სასწაული. სახარებისეულ ამბავს, როდესაც იესო ქრისტემ ლოდი გადააგორა და მკვდრეთით აღდგა. იმას, რომ ჯვარცმის შემდეგ მაცხოვარმა ჯოჯოხეთში ჩასვლით მისი კარი შემუსრა და მიცვალებულთა სულები გამოიხსნა. იმას, რასაც ფაქტობრივად დიდ შაბათს იერუსალიმში მაცხოვრის საფლავზე გადმოსული ღვთაებრივი ცეცხლის სასწაული გვახსენებს. ხალხურმა კოლექტიურმა არაცნობიერმა ერუმსალეთობის უჩვეულო პური ფაქტობრივად იესო ქრისტეს, მაცხოვრის საფლავის ლოდს დაუკავშირა. ფაქტობრივად, ერუმსალეთობა-სულთაკრეფა, არის რა მიცვალებულთა

[4] გირვანქა უდრის 409.5 გრამს. ფაქტობრივად, 10 გირვანქა ერბო 4კგ. და 95 გრამია.

მოსახსენებელი დღე, იმავდროულად, მკვდრეთით აღდგომის და მარადიული სიცოცხლის დღესასწაულიცაა (ღამბაშიძე,2010:92-100).

ქალების მიერ ცეცხლიჯვარში კენჭების მიტანის წესი, ბავშვების ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მიზნით, ვფიქრობთ, ერთგვარ პარალელს პოულობს თბილისის მამადავითობასა და 2017 წელს ახალციხეში ჩვენს მიერ მოპოვბულ ეთნოგრაფიულ მასალასთან.

როგორც ცნობილია, წმ. მამა დავით გარეჯელს უშვილო ქალები და დასაოჯახებელი გოგონები შესთხოვდნენ, ვინაიდან, იგი ბედნიერი ოჯახური ცხოვრების მიმნიჭებელი და მფარველია. გასათხოვარი გოგონები მამა დავითის ტაძრის კედელში კენჭებს ამაგრებდნენ. თუ კენჭი მაგრდებოდა და მთაში გარკვეული ხმაურიც გაისმებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მლოცველის თხოვნა შესმენილი იყო და ისინი მალე დაოჯახდებოდნენ (...ъ..., 1846:25-26; 1854:2).

აბის ეკლესიასთან დაკავშირებით, რომელიც ფაქტობრივად ახალციხეს გადმოჰყურებს, ჩვენი ინტერესი, ეკლესიის გარეთა მხრიდან, საკურთხეველთან მოთავსებულმა შავი ფერის ქვამ მიიქცია. ხალხს სწამს, რომ თუ ამ ქვას პატარა ქვას მიადებს, სურვილს ჩაიფიქრებს და მიდებული ქვა დამაგრდება, მას სურვილი აუსრულდება. ქვის თავს ზემოთ, ეკლესიის კედელი გაშავებულია, რამაც გვაფიქრებინა, რომ აქ სანთლებსაც ანთებენ. აქ, ამ ქვასთან, სომხების გარდა ქართველებიც მიდიან (ღამბაშიძე, 2017). როგორც ჩანს, კენჭის წმინდა ადგილზე დაყრის, ასე ვთქვათ, „წმ. კედელში“, წმ. ქვაში დამაგრების წესი სურვილის ასრულების, დაოჯახება-შვილიერების მიზნით სრულდებოდა ხოლმე.

ცეცხლიჯვართან დაკავშირებით სერგი მაკალათია ძალზე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს. იგი ხადას და ნაღვარევ-ხარხეთის ცეცხლისჯვრის ეკლესიას უკავშირებს „იმ სასწაულმოქმედ ცეცხლის ჯვარს, რომელიც მცხეთის ერთ ბორვცზე ახლად მოქცეულ იბერიელებს ეჩვენა.“ (მაკალათია,1930:179) საილუსტრაციოდ გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოჩენილ „ქართლის მოქცევის“ ჩვენთვის ცნობილ უძველეს ვერსიას მოვიტანთ. ამ ვერსიის მიხედვით, რასაც სხვა ვერსიებიც ადასტურებენ, პარასკევიდან შაბათის ღამეს განთიადამდე, 7 მაისს ყველამ იხილა მცხეთაში, როგორ დაადგა ვარსკვლავების გვირგვინით დაგვირგვინებული ცეცხლის ჯვარი ეკლესიას, რომელშიც 1 მაისს გამოთლილი, სვეტიცხოვლის გარეთ აღსამართავად გამზადებული ჯვრები იყო. გარიჟრაჟზე გვირგვინს ორი ვარსკვლავი გამოეყო. ერთი აღმოსავლეთით გაემართა, ხოლო მეორე დასავლეთით. თავად ცეცხლის ჯვარი გვირგვინითურთ დაეკიდა მტკვრის გადაღმა ბორცვს, სადაც აღიმართა მცხეთის ჯვარი (მოქცევაY ქართლისაY, 2007:57-58). მარტვილიის შემდგომ ოთხშაბათს, როგორც ცნობილია მცხეთის ჯვარზე, რომლის სულიერი ხატი ცეცხლის ჯვრის სახით გამოეცხადა მცხეთის მკვიდრთ, მოხდა სასწაული. მცხეთის გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს თავზე თორმეტი ვარსკვლავისაგან შექმნილი გვირგვინიანი შვიდგზის უფრო ნათელი ვიდრე მზე, ცეცხლის ჯვარი დაადგა. ცეცხლის ჯვარზე ანგელოზები მოძრაობდნენ, ბორცვი იძროდა და კეთილსურნელება იფრქვეოდა გარშემო (ქართლს ცხოვრება, 1973:91). ამდენად, საისტორიო წყაროს მიხედვით მცხეთის ჯვრის სულიერი, ზეციური ხატი არის ცეცხლის ჯვარი.

როგორც ცნობილია, როდესაც მცხეთის გოლგოთაზე აღიმართა გამოთლილთაგან ერთ-ერთი ჯვარი, საისტორიო წყაროს მიხედვით „...ქვეყანასა ქართლისასა, მეყვსეულად მას ჟამსა დაეცნეს ყოველნი კერპნი, რომელნი იყვნეს საზღვართა ქართლისათა, და შეიმუსრნეს, და საკერპონი დაირღუეს.“ (კლარჯული მრავალთვი, 1991:351)

„კავკასიონის მთათა სიმაღლეები, ახლაც რომ

> უნებლიე მოწიწებას აღძრავენ, უძველესი წარმ-
> ართების განსაკუთრებული პატივისცემის
> საგანს წარმოადგენდნენ. იქ, სადაც ასწლოვანი
> მუხის ტყეებში ღმერთებისათვის საკურთხევლ-
> ებს აღმართავდნენ, ქრისტიანმა მქადაგებლებმა
> წმინდა ჯვარი აღმართეს, ტაძრები ააგეს და
> რომელთა მიმართ ამ კუთხის უძველეს შთამო-
> მავალთა შორის კვლავაცაა ნაანდერძევი პატივისცემა
> შემორჩენილი“ - წერს პლატონ იოსელიანი (იოსელიანი,1846:40).

მრავალწლიანი კვლევისა და დაკვირების შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ ზემოხსენებულს ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს. ჩვენ, I საუკუნიდან VI საუკუნის ჩათვლით საქართველოს გაქრისტიანების სამ ეტაპს გამოვყოფდით: პირველი, როდესაც წმიდა ანდრია, სხვა მოციქულებთან ერთად, ახარებს ქართველებს ღმერთის მიერ კაცობრიობის გამოხსნის ამბავს. ამ დროს არსდება ქრისტიანულ თემები. მეორე ეტაპი, როდესაც IVს-ში წმ. ნინოს ქადაგების შედეგად, ქართლის იმდროინდელი მეფე, მირიანი, ოფიციალურად აცხადებს ქართლის სამეფოში ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად და ინსტიტუციურად არარსებს ეკლესიას. VIს-ში ჩვენში მოსული ასურელი მამები დიოფიზიტობას განამტკიცებენ და აარსებენ კინობიტურ სამონასტრო ცხოვრებას (ღამბაშიძე, 2008: 456-458). საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მეორე პერიოდს ჩვენ „ჯვრის პერიოდი“ ვუწოდეთ, როდესაც მთავარი, მცხეთის ჯვრის აღმართვის დარად, სამეფოში კერპთა თაყვანისცემის თუ წარმართული ღვთაებების თაყვანისცემის ადგილას ჯვრები აღიმართა, რასაც შემდგომ მათ ადგილას ეკლესიების თუ სალოცავების მშენებლობა მოჰყვა. ეს, როგორც ცნობილია, მსოფლიოში ქრისტიანობის გავრცელების ტიპური და დამახასიათებელი პროცესია, რაც ჯერ კიდევ მოციქულთა ქადაგების პერიოდიდან დაიწყო. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღმოსავლეთ მთიანეთის სალოცავების ზოგადი სახელი – ჯვარ-ხატები – ჯვრის პერიოდს და მცხეთის ჯვარს უნდა უკავშირდებოდეს, რომლის სახელობისაა აღ. საქართველოს მთიანეთის მთავარი სალოცავების უმრავლესობა (ღმბაშიძე, ალავერდაშვილი, 2018: 246-251, 343, 356). ტერმინი ხატი უნდა ნიშნავდეს ადგილობრივ სალოცავს, როგორც მთავარი ჯვრის, მცხეთის ჯვრის ხატს. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ თუ ლომისა მცხეთის ჯვრის სასწაულისადმი (სულთმოფენობის მომდევნო ოთხშაბათის) მიძღვნილი სალოცავია, ლაშარი მცხეთის ჯვრის, რომელიც თავდაპირველად ზატიკის ზატიკის ანუ აღდგომის მესამე კვირას უნდა ედღესასწაულათ, ცეცხლისჯვარი თავდაპირველად 7 მაისის ანუ ჯვრების აღმართვის დღესასწაული უნდა ყოფილიყო და სხვა სალოცავების დარად, შემდგომ უნდა დაკავშირებოდა გიორგობას თუ ნათლისღებას და კვირაცხოვლობას. ვფიქრობთ, საერთო სათემო სალოცავები მცხეთის ჯვრის სახელზე უნდა დაარსებულიყო. ანუ ქართლის სამეფოში შემავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების მთავარი სალოცავები “ჯვრის პერიოდში“ (IV-დაახ. Xსს.) მცხეთის ჯვარს უნდა დაკავშირებოდნენ.

იმ მოსაზრებას, რომ ცეცხლისჯვარი მცხეთის ჯვრის დღესასწაული უნდა იყოს, ისიც უნდა უჭერდეს მხარს, რომ მცხეთის ჯვრის მსგავსად ცეცხლისჯვარიც უკავშირდება ღვთისმშობელს. როგორც ცნობილია, 7 მაისს, 8-დან 15 მაისამდე, მოსდევდა ღვთისმშობლის ერთკვირიანი დღესასწაული. მცხეთის ჯვარიც და ღვთისმშობელიც შვილიერების მიმნიჭებლები და მფარველები არიან. ცეცხლისჯვარში აუცილებელი იყო ღამისთევა და სიფხიზლე. თვალის მოხუჭვა სასტიკად იკრძალებოდა. საისტორიო წყაროს მიხედვით, მცხეთელებმა 6 მაისის ღამე,

პარასკევი, 7 მაისის შაბათი რომ თენდებოდა, ლოცვაში გაათენეს და კიდევაც იხილეს მცხეთის ჯვარი ცეცხლის ჯვრის და მასზე დადგმული ვარსკვლავების გვირგვინის სახით. ის უცნაური სიდიდის ქადა, რომელიც ცეცხლისჯვარში თავზე დადგმული მიჰქონდა მლოცავს, ხომა არ შეიძლებოდა სწორედ ამ გვირგვინის სიმბოლო ყოფილიყო? მრგვალი რიტუალური პური, რომელიც წინაქრისტიანული სოლარული სიმბოლოა, ამჯერად ცეცხლოვანი ჯვრის თავზე გამოჩენილ ვარსკვლავების, ციური სხეულების გვირგვინს ხომ არ განასახიერებდა? თუ ერუმსალეთობის დიდი რიტუალური პური იესო ქრისტესთან და უფლის საფლავის ლოდთან ასოცირდებოდა, თითქოსდა, ხალხური ფსიქოლოგია, ხალხური წარმოსახვა ვარსკვლავების გვირგვინს უკავშირებდა, რომელიც ხალხს ცეცხლის ცხავატური ჯვრისთვის მიჰქონდა.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცხავატის თემის მთავარი სალოცავი, ცეცხლისჯვარი, რომელიც მცხეთის ჯვრის 7 მაისის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სალოცავი უნდა იყოს, წმ. ნინოს ქადაგების აქტიურ არეალშია მოქცეული.

ლიტერატურა:

bardavelidze, v. (1947). *mtiulet-gudamaqris eksp'editsia.* iv. javakhishvilis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'is arkivi, F²209, rv. #V(ბარდაველიძე, ვ. (1947). *მთიულეთ-გუდამაყრის ექსპედიცია.* ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, F²209, რვ. #V).

bardavelidze, v. (1947a). *mtiulet-gudamaqris ekspeditsia.* iv. javakhishvilis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'is arkivi, v.b. 367 (ბარდაველიძე, ვ. (1947a). *მთიულეთ-გუდამაყრის ექსპედიცია.* ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. ვ.ბ. 367).

boch'oridze, b. (1993). *tusheti.* tbilisi: gamomtsemloba ”metsniereba” (ბოჭორიძე, გ. (1993). *თუშეთი.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

ghambashidze, n. (2008). mtskhetis jvari da krist'ianobis gavrtselebis sami et'ap'i. *krist'ianul-arkeologiuri dziebani.* tbilisi: gamomtsemloba “tsodna”. #1 (ღამბაშიძე, ნ. (2008). მცხეთის ჯვარი და ქრისტიანობის გავრცელების სამი ეტაპი. *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი.* თბილისი: გამომცემლობა “ცოდნა”. #1).

ghambashidze, n. (2010). „erumsaletoba“-mitsvalebulta mosakhsenebeli dghe tushetshi. zhur. *religia.* #1 (ღამბაშიძე, ნ. (2010). „ერუმსალეთობა“-მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე თუშეთში. ჟურ. *რელიგია.* #1)

ghambashidze, n. (2016). *etnograpiuli mivlineba mtiuletshi.* khelnats'eri, inakheba avtortan (ღამბაშიძე, ნ. (2016). ეთნოგრაფიული მივლინება მთიულეთში. ხელნაწერი, ინახება ავტორთან).

ghambashidze, n. (2017). *meskhetis etnograpiuli ek'sp'editsia.* khelnats'eri (ღამბაშიძე, ნ. (2017). *მესხეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია.* ხელნაწერი. ინახება ავტორთან).

ghambashidze, n. alaverdashvili, k., (2018). *aghmosavlet sakartvelos mtianetis t'raditsiuli k'ult'ura (gudamaqris, khevis, tushetis salotsavebi).* tbilisi: gamomtsemloba “meridiani” (ღამბაშიძე,ნ. ალავერდაშვილი, ქ., (2018). *აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის ტრადიციული კულტურა (გუდამაყრის, ხევის, თუშეთის სალოცავები).*თბილისი: გამომცემლობა “მერიდიან”).

itonishvili, v. (2015). *mokheveebis qopa-tskhovreba.* Tbilisi: gamotsemloba ar aris mititebuli (ითონიშვილი, ვ. (2015). *მოხეველების ყოფა-ცხოვრება.* თბილისი: გამოცემის ადგილი არ არის მითითებული).

kartlis tskhovreba. IV (1973). t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit simon qaukhchishvilis mier. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“ *(ქართლის ცხოვრება.* IV. (1973). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

k'edeladze, m. (1947). *Mtiuleti*. iv. javakhishvilis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'is arkivi, m.k'. 1-29 (კედელაძე,მ. (1947). *მთიულეთი.* ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.მ.კ. 29).

k'edeladze, m. (1947a). iv. javakhishvilis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'is arkivi, *khat'is mits'ebi tskhaot'is temshi*. m.k'. 1/11, M²104 (კედელაძე,მ. (1947a). ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. *ხატის მიწები ცხაოტის თემში.* მ.კ. 1/11, M2104).

k'edeladze, m. (1947b). *Mtiuleti*. iv. javakhishvilis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'is arkivi, , M2, rv. #104b, nats'. III, (XXIX-XXXIV) (კედელაძე,მ. (1947b). *მთიულეთი.* ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, M², რვ. #104ᵇ, ნაწ. III, (XXIX-XXXIV).

k'larjuli mravaltavi. (1991). t'ekst'i gamosatsemad moamzada da gamok'vleva daurto tamila mgaloblishvili tbilisi: gamotsemloba „metsniereba“ (*კლარჯული მრავალთავი.* (1991). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

mak'alatia, s. (1930). *Mtiuleti*. t'pilisi: gamomtsemloba “sakhelgami” (მაკალათია, ს. (1930). მთიულეთი. ტფილისი: გამომცემლობა `სახელგამი~).

mak'alatia, s. (1934). *khevi*. t'pilisi: sakhelmts'ipo gamomtsemloba (მაკალათია, ს. (1934). *ხევი.*ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა).

„moktsevai kartlisai“. (2007). akhladaghmochenili sinuri redaktsiebi, gamostsa da ts'inasit'qvaoba daurto zaza aleksidzem. tbilisi: gamotsemloba sakartvelos sap'at'riarko („მოქცევაY ქართლისაY“ ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები. (2007). გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა).

rukhadze, j. (1946). *mtiuletis etnograpiuli eksp'editsiiis masalebi*. iv. javakhishvilis ist'oriisa da etnologiis inst'it'ut'is arkivi, M₁³, rv. #6 (რუხაძე, ჯ. (1946). *მთიულეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.* ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, M₁³, რვ. #6).

rukhadze, j. (2001). bunebis aghordzinebis veget'atsiuri dghesasts'auli da misi krist'ianuli t'ranspormatsia, *kartveluri memk'vidreoba*. V (რუხაძე, ჯ. (2001). ბუნების აღორძინების ვეგატციური დღესასწაული და მისი ქრისტიანული ტრანსფორმაცია. *ქართველური მემკვიდრეობა* . V).

topchishvili, r. (2017). *sakartvelos ist'oriul-etnograpiuli mkhareebi*. tbilisi: gamomtsemloba “sachino” (თოფჩიშვილი, რ. (2017). *საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები.* თბილისი: გამომცემლობა საჩინო).

sakartvelos ek'lesiis k'alendari. (1976). tbilisi: sakartvelos sak'atolikosos gamotsema (საქართველოს ეკლესიის კალენდარი. (1976). თბილისი: საქართველოს საკათოლიკოსოს გამოცემა).

...ъ... *Монастырь св. Давида, Кавказ.* N7 (1846). N125 (1854).Тифлис.

Иоселиани, П. (1846). *Путевые заметки по Кахетии*. Тифлис: типография канцелярии наместника Кавказского